# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 156. | კვირა, 5 ოქტომბერი 1903 წ. | გაზეთის № 2283.

# ყაჭობა

(დასასრული)

III

შუა ღამე გადასული იყო. მამლებმა კაი ხანია ერთი პირი მოიყივლეს. მარინე გაუხდელი და ბავშვები ღომის ნალიის ქვეშ მიწაზე დაგებულ ლოგინში იწვნენ ყველანი ერთად. მარინე ერთბაშად შეჰკრთა, დაიკვნესა და შეშინებული წამოვარდა ლოგინიდან. ერთხანს იდგა გაშტერებული, თითქოს ვერ მოეფიქრა, სად იყო, მერმე ჩაჯდა ისევ და დაიწყო იქით-აქეთ ყურება. ღომის ნალიის კედლები ფურცლიანის თხმელის შტოებით—„ქვერით“ იყო შემოღობილი. გამხმარი ფურცლები გარედან მონადენ ნიავზე ოდნავ ჩხარუნებდა. ბნელოდა. მარინეს რაღაც უსიამოვნო ჟრუანტელმა დაურბინა ტანში, მოიწმინდა შუბლზე მონადენი ცივი ოფლი და რაღაც უანგარიშოდ დაუწყო ბავშვებს ხელებით ძებნა, მაგრამ თითქოს რაღაც მოაგონდა, უცებ გამოერკვა გარინდებისაგან, საჩქაროდ გამოიღო ბალიშის ქვეშიდან წუმწუმა, აანთო სანავთე და კიდევ დაუწყო ბავშს თვალიერება და ხელით სინჯვა. როცა დარწმუნდა, რომ ბავშვებს მშვიდად სძინავთ, ღრმად ამოისუნთქა, გადაიწერა პირჯვარი და კიდევ მიიხედ-მოიხედა. ირგვლივ პაწაწკინა ნალიის ქვეშ, სადაც ღლისით ინჯრას*) აკეთებდნენ, ღამე აქრობდნენ ცეცხლს, იგებდნენ შუაში ლოგინს და, კირილეს გარდა, ყველას იქ ეძინა. კუთხეებში ელაგა საოჯახო რამე-რუმე. სანავთე საშინლად კვამლავდა და ნავთ-მჭვარტლის სუნით ავსებდა ჰაერს. მარინემ ერთი მიავლ-მოავლო თვალი იქაურობას, კიდევ გადაიწერა პირჯვარი, აიღო სანავთე და წავიდა კარებისაკენ გარედ გამოსასვლელად. ის შერჩევით ადგამდა ფეხს, რომ არავისთვის დაებიჯებინა. ერთ ხელში სანავთე ეჭირა, მეორეთი კი ეკიდებოდა ჭერს. გამოვიდა ღია კარებში. იქვე გარედ სკამ-ლოგინზე ეძინა კირილეს. მარინე მივიდა იმასთან:

— კირილე, კირილე, ადექი, აწი ქე უნდა წევიდე ბჟოლიზა!—გაალვიძა ქმარი.

— აა? რაი?—გაეხმაურა კირილე ცოლს თავის ქექით.

— რაი და ადექი, ჩემო კირილე, წამყევი, ბჟოლიზა მივალ... იმისთანაი გლახა სიზმარი ვნახე, რომ ჭირის ოფლმა დამასხა.

— ა, რეიზა, ა?—წამოჯდა სწრაფად კირილე,—ეგება მუცელი გტკივა?

— მუცელი კი არა, სიზმარი ვნახე საძაგელი: ერთიცახე მიმძინებოდა... ბჟოლთან ვიყავი, ბარე სამჯელ ჩევედი სანახავად, არა კაცი ჩხოტდეს მეთქი და მევილალე, არ ვიცი, რაცხა შევშინდი სიზმარში... ახლა ქეა წასლის დროი, მთვარე ჩევიდა და დაბნელდა, თვარა ისე სახლის წინ ქე დამინახავს.

— რა გითხრა, იცი, მარინე, ძალიანი მიჭირს შენი იქინეი გაშობა ამაღამ და მოი, ნუ წახვალ, მაინც მოღალული ხარ.

— უჰ, რავა იქნება მაი, რას ჩივი? აბა ადექი და წამყევი და შენ ქე გამობრუნდი ისთევე!—მიუგო წყენით მარინემ.

— კი, მარა ფიცსავით რომ გამევიდა დღეს იგი...

— ფიცსავით, რავა, მე მივალ, მე, შენ კი არა; შენ წამყევი და ქე გამობრუნდი, ოჯო! ისეც იმ სიზმარმა გული გამიტკლიცა და ახლა შენც...—აქ მარინემ უცებ შეიცვალა ლაპარაკის კილო, ჩამოჯდა კირილესთან და რაღაც უიმედოდ ყრუ ხმით დაიწყო:

— ვითამ ჩვენი პაწიწკალაი კუკუნიეი და ბაბაი ხელი-ხელ ჩაკიდებული მევიდოდენ საცხა დიდ ტყეში, მიქნევდენ ხელს და მიძახოდენ. მე გამიხარდა ვითამ და გევიქეცი. ეკალი იყო, ბარდი ვითამ, მივრბოდი ფეხშიშველი, ვედგაშუნებოდი, ეკალი მესობოდა ფეხში, ვითამ რავაც მივაწიე ახლო, გაბრუნდენ და გეიქცენ. მივსდიე ვითამ; მიირბინეს ვითამ ერთ უშველებელ თვალ უწდენელ ხრამთან. მე შევშინდი, ვუყვირი: „ნუ მირბით, გადავარდებით ხრამში მეთქი“. მუხლებმა დამიწყო კანკალი,



წმ. გიორგი სიკვდილისაგან იხსნის მეფის ასულს.—ქანდაკება ფერრის.

---

*) იხ. „დამატება“ № 153.

*) საჭმელი.



ქარიშხალი ზღვაზე.—სურათი ვითერისა.

ჩამეკეცა ფეხები, დევეცი, მინდა წამოვდგე, მივეწიო, წამევიყვანო აქეთ. წამევიწიე, წამევიწიე, კიდო უფრო და უფრო ვეცემი. ვყვირი, ვტირი, მომიცაით, ვეხვეწები ვითამ ბაბას: არ მომიკლა ბაღანაი მეთქი, არ მიხვიდეთ ხრამთან, გადავარდებით, გეცოდვებოდე, ჩემო ბაბავ, მე უბედური მეთქი. ამ დროს ერთი კი მეიხედეს, გამიცინეს, კიდევ დამიქნიეს ხელი და გადაწიკუნტალდენ ამ უშველებელ ხრამში... ვაიმე, შვილო!—იმისანაი დეიკივლა ჩემმა კუკუნიამ: „ნენავ, მოდი, მოდი, გიკიო“... რაც ძალა და ღონე მქონდა წამევიწიე ვითამ, წამევიწიე.... ვხედავ, რომ რაცხა ფიჩინჩალათ წამუარდი მიწიდან, წამოვფრინდი ვითამ, დევიხედე, რომ ორივე ფეხი ქე დამრჩენია მიწაზე დარჭობილი, ორივეიდან სისხლი მუასხამს თქრიალით, მე კი რაცხამ გამაქროლა იმ ხრამისკენ.... რომ ამ დროს გამეღვიძა... ოჰ, რა საშინლობა იყო, რა საშინლობა, კირილე, რომ იცოდე...—მარინე ტირილით და კვნესით გულამომჯდარი უამბობდა ქმარს სიზმარს და იმტვრევდა ხელებს.

—რაა, რომ გადახევი თლა მაგ ყაჸს? დღეი არ გძინავს და ღამე, აბა რა დაგემართება!—უთხრა ცოლს კირილემ მზრუნველობით და წამოდგა ლოგინიდან.

—აბა ჩეიცვი შენ, კირილე, და მე ყაჸს დავხედავ ერთს.

მარინემ წაიღო სანავთე და წავიდა ყაჸიან სახლში. როცა კირილემ ჩაიცვა ტანზე, მობრუნდა მარინეც. ის ისე შეწუხებული და დაღონებული აღარ იყო.

—რაფერ შესევია, კირილე, პირისაცავს, მადლია სანახავათ. ხვალ დილიანა დუუდგამ ცახს... უჰ, თუ კაი მიკეთდა. რაც უნდა დამემართოს, ერთ კაი ლოდს კი გავაკეთებიებ ჩემი კუკუნიეზა. შვილო, ყველა ბაღნები გამახსენდა და იგი არ გამხსენებია დღეს.

—მამაშენიზაც გავაკეთებიოთ, მარინე, აგერ კიდო სიმინდს გავყიდით. წროულს კაი მოსავალი იქნება, მგონია.

—ვაიმე, ნეტაი მაგ დღეს მევესწრობოდე, თვარა მეტი რაღა მინდა. აბა, მიორე მოსავალსაც დევისვამ.

—კი, კი დევისვათ. მეც იმდენი სამუშიერი აღარ მექნება და უმფრო მოგეხმარები.—კირილეს უნდოდა როგორმე დაემშვიდებინა და გაემხიარულებინა მარინე და წინააღმდეგობას აღარაფერში აღარ უწევდა.

—აბა, კირილე, პაწაი მჭადი წამეიღე ძაღლებიზა და წევიდეთ, აბა, შენ იცი, რაფერ მუუარ ბაღნებს... წავალ ერთს აკვირინას ვაკოცებ.—მარინე შევიდა და მძინარე ბავშვებს ყველას სათითაოდ სიყვარულით აკოცა, მერმე ერთი კიდევ გადაავლო ყველას თვალი, ანგარიშ მიუცემლად ამოიოხრა, გადაიწერა პირჯვარი და გამოვიდა ისევ გარედ, ამოიწია კაბის კალთები და გაუდგა გზას. კირილემაც აიღო ჯოხი და გაჰყვა. მარინე ერთ ხანს დაფიქრებული ჩუმად მიდიოდა.

—შენი ჭირიმე, კირილე!—უთხრა ბოლოს ქმარს.—ბაღნებს კარგა მუუარე. ძროხას ათინაი მოწველს, ქათმებსაც დააპურებს, კვერი ჩააგდებიე, ყველი ქეა გუშინდელი ამოჭყნეტილი და აჭამე. აკვირინაი გეცოდვებოდეს, ბაღნებს ნუ გალახავ, ათინას ნუ გუუწყლები, ჩემო კირილე, დიდია ახლა...

—რავა, შინ მოსვლას აღარ აპირობ, რომ ჩამოთვალე ცაი და ქვეყნის სამიდღემჩიო ამბავი? ამდენს რომ მიმოწმეფ, რავა, სახლდები იმ ბჟოლზე თუ რაიო. ქათმების დაპურებამდი იქინეი რჩები?

—ღმერთო დიდება შენ!—გაიცინა მარინემ.—ისე წამიღო ფიქრებმა, რომ საცხა შორს მივიდოდი მეგონა.—გაიცინა კირილემაც.

—აგერ კი მიხვალ ყურიძირში და რა ვიცი, მეც გიყურებ პირ-დაბლეცილი და მიკვირს, რომ აღარ გაათავე დამოწმება....—მხიარულად მიუგო ცოლს კირილემ და კიდევ გაიცინა.

—სუ, ნუ იცინი, არა კაცი გააღვიძო,—უთხრა ქმარს მარინემ და უფრო ყოჩაღად და მხიარულის ნაბიჯით წავიდა.

სოფელში სრული სიჩუმე სუფევდა. გზაში მათ შემოეყარათ მეზობლის ორი ქალი, მაგრამ თითქოს ვერ დაინახესო, გზა აუარეს ერთმანეთს. ცოტა რომ გასცილდნენ ერთმანეთს, მარინე შეჩერდა და ცნობის-მოყვარეობით გააყოლა იმათ თვალები.

—მაგინი დიანოსაის რძლები არ იყვენ? ჩვენ ბჟოლზე რომ მივიდოდენ, რაღა ვქნა მერე?—სთქვა იმან.

— არა, არა, ხედავ ეგერ ღობეზე გადიარეს. მაგინი, თუ კაცი ვარ, სარიდანას დუუტინტილებენ*) ამაღამ ბჟოლებს.

ისინი წავიდნენ. ბოლოს გამოჩნდა ხოხორიძის შქერის წნელით შემოღობილი დიდი ეზო და დიდრონი ჭიშკრები. სწორედ ჭიშკრებთან ღობის დაყოლებით მოსჩანდა რამდენიმე ძირი თუთის ხე. მარინემ გადაიხედა ღობეზე. ბნელ ღამეში კიდევ უფრო ბნელად გამოიყურებოდა გოჯასპირ ხოხორიძის დიდი ოდა. ჩამიჩუმი არსაიდან არ ისმოდა, მხოლოდ შორს სადღაც მკაფიოდ იძახოდა ბედითი ჭოტი. მარინე ერთ წუთს შესდგა და თვალით აარჩია ერთი საუკეთესო ხე. თუმცა „ოდა“ ჭიშკართან ახლო იყო, მარინე მაინც დარწმუნებული იყო, რომ ამისთანა დროს ყველანი გულის ძილში იქნებიან და იმის აქ ყოფნას ვერავინ შეიტყობს.

— აბა, მომეცი მჭადი, ძაღლებმა თუ გეიღვიძეს, ვაჭუმ.— უთხრა ჩურჩულით ქმარს.

— მარინე,—მიუგო კირილემაც ჩურჩულით,—ბჟოლიანი ფიტა მაქეთ დობირაში გადააგორე, მუალ და წამევიდებ.

— კი, კი, წაი აბა ახლა შენ.—მარინემ გამოართვა მჭადი ჩაიდვა ჯიბეში, გაიხადა ფეხზე ქუსლ-წათელილი წუღები, გაიმაგრა კაბის კალთა წელში, გადაიწერა პირჯვარი და მოებღაუჭა ხეს ასასვლელად. კირილე უცდიდა, სანამ მარინე ავიდოდა ზევით, და მერე წავიდა შინ.

მარინემ დაიწყო ჩუმად, სიფრთხილით „ჩხოტა“. ყოველ ფურცლის გაშრიალება-გაჩაჩუნებაზე ის შემკრთალი შეჩერდებოდა და იყურებოდა იქით-აქეთ. რაკი დარწმუნდებოდა, რომ შიში უსაფუძვლო იყო, ის ისევ ყოჩაღად გაორკეცებულის გამბედაობით და ხალისით „ჩხოტდა“ დანამულ ცივ ფოთლებს, რომლებიც რაღაც გამაცოცხლებელად და გამამხიარულებლად მოქმედებდნენ მასზე. ბოლოს გათამამდა, შიში არ იყო მის გულში სრულიად. როცა გაივსო კაბის კალთა, გადავიდა ერთ დიდ ტოტზედ, ჩამოიხსნა კალთა და ჩამოყარა ფოთოლი ძირს. გახდა შრიალი. ვიღაცამ დაახველა „ოდის პარმალში“. მარინემ გაჰკმინა ხმა და გაჩერდა გაუნძრევლად. კიდევ ჩაახველა ვიღაცამ და დაიძახა:

— ეი, ვინ ხარ შენ?!

მარინემ იცნო გოჯასპირის ხმა და გააჟრჟოლა, მაგრამ ხმას არ იღებდა.

გოჯასპირ ადგა და გაიარ-გამოიარა ბალკონში. ამ დროს გაიღო ოთახის კარი და მარინეს მოესმა გოჯასპირის ცოლის ხმა:

— რა იყო, არის ვინმე თუ?

— მეც მაგას უყურებ ბნელია და ვეფერს ვხედავ. არის თუ არა ამ თოფს კი ვესრი.

მარინე შიშით აკანკალდა, უნდოდა დაეყვირა, რომ გაიგონა:

— რას ჩივი, გადირიე გოჯასპირ! არა კაცი მოკლო. ბჟოლის ფურცლიზა, არა კაცის ცოდვა არ დეიდვა კისერზე.

— დამეთხუე, პუპი, შენი საქმე არაა და რას ერევი!

— აბა ვისი საქმეა? კაცი მოგაკლიო აბა? ეგება ქე არის ვინმე ზედ და მერე რაღას იზამ? მარა რომ არა კაცი არ ჩანს? დაწევი მაგერ მოგეჩვენა. გადიღარღილე და დაწევი, დეიძინე, მამა გიცხონდება.

— არა დღეს ლომის კარელზე დევიფიცე, ვინცხა იქნება, ვესრი და მოვკლავ მეთქი და ახლა უნდა ვესროლო ფიცს ველარ გავტეხ.

— არა კაცი არაა, არა კაცი, ადამიანო!

— მე კი ვესრი და! რაცხა ეფაჩუნებოდა, გევიგონე წალანაი. გამიშვი, პუპი, რეიზა ხარ ასე ახირებული, ა?

მარინეს მეორედ უნდოდა დაეყვირა, რომ მოესმა:

— არა, თლა რომ ქვეყანა დეიქცეს არ გასრიებ თოფს. ბჟოლის ფურცლიზა კაცს ვერ მოგაკლიებ. ვიკივლებ ახლა, ვიკივლებ და თლა შევყრი მთელს სოფელს აქანაი.



ერთი ხნის მეგობრები.— სურათი მიულერისა.

— კაი, კაი, ოჯო, ტყუილაი ვჩივი, რომ ვეფერს ვერ მიხდები რაა, პუპი ა? დავზაფთავ, დავზაფთავ, ადამიანო, არ გამუუნიშნებ, ისე ვესრი, მგონი არა კაცი არაა, მარა მაინც

*) დუცლიან, დუტიტვლებენ.

გავაგონებ ყაზახებს, რომ თოფი ვესროლე.—დაბალი ხმით უთხრა ცოლს გოჯასპირმა.

—ჰოო, თუ დაზაფთავ, კაი, ესროლე, მარა არა კაცს არ გამუუნიშნო. შეშინება კი ეკადრება, თუ ვინმეა. ყაძახებიზაც კაია, მოგეცა ლხენა.—მიუგო მას პუპიმაც დაბლად.

მარინემ კარგად გაიგონა მათი სიტყვები. მან მსუბუქად ამოისუნთქა და ჩუმად გადაიწერა პირჯვარი, „ღმერთო, დიდება შენ, რომ გადამარჩინე. ახლა აღარ მეშინია, ისროლოს“, იფიქრა მან. სწორედ ამ დროს გავარდა თოფი. მოისმა მარინეს გულსაკლავი კივილი და მძიმეთ უსულოდ დავარდა მიწაზე სწორედ იმ ადგილას, სადაც ამ რამდენიმე წამის წინ ერთი კალთა „დაჩხოტილი“ თუთის ფოთოლი გადმოყარა.

**ნინო ნაკაშიძე.**

## ტფილისის აფთიაქებში



—მთელი ორი საათი ვიცდი, შეიძლება ასე დაგვიანება!
—არა უშავს-რა, მოასწრობთ, უამისოდ არ მოკვდება თქვენი ავადმყოფი



სახაზინო თეატრი.—დირიჟორი პოზენი.



—თუმცა სამოცდა სამი წლისა ვარ, მაინც ახალგაზდა და ყოჩაღი შეხედულება მაქვს.



—უფრო მხიარული სახე მიიღე, თორემ ისე დაღრეჯილხარ, თითქო შენ ქმარზე ფიქრობდე.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

Доз. ценз. Тифлисъ, 4 октября 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.